ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამა

ფინანსები და საბანკო საქმე

თბილისი
2008

1. სადოქტორო პროგრამის სახელწოდება –"ფინანსები და საბანკო საქმე"

სადოქტორო პროგრამა "ფინანსები და საბანკო საქმე" წარმოდგენილია მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტში. მაგალითად, მსგავსი სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება:

– აშშ-ს ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტი **(THE GEORGE WASHINGTON UNIVERSITY).** დეტალური ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე:

http://www.gwu.edu~accy/masterofaccy.html,

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - დოქტორი „ფინანსები და საბანკო საქმე"–ში

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი –

ირაკლი კოვზანაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმის" კათედრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

– საკონტაქტო ინფორმაცია (ბინის ტელეფონი: 29-22-15; სამსახური: 30-40-66, kovzanadzei@caucasus.net)

– ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსები:

ა) კომერციული ბანკების ფუნქციონირების საფუძვლები;

ბ) ცენტრალური და კომერციული ბანკები;

გ) კომერციული ბანკების ფუნქციონირების მექანიზმები;

დ) საბანკო საქმე.

– სამეცნიერო კვლევის სფეროები:

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის ირაკლი კოვზანაძის სამეცნიერო კვლევის სფეროები განსაზღვრულია ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმის მიმართულების პროგრამის, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ქვეყნის წინაშე მდგარი აქტუალური პრობლემების დამუშავების საფუძველზე, რომლებიც ძირითადად ოთხი მიმართულებით წარიმართება. აღნიშნულიდან გამომდინარე **სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:**

ა) ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის გზების ძიება;

ბ) ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების ღონისძიებების განსაზღვრა;

გ) ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გზების ძიება სიღარიბის დაძლევის და უმუშევრობის შემცირებისათვის;

დ) სადაზღვევო სისტემის ეფექტიანად წარმართვის მიმართულებების ფორმირება და მისი ნორმალური ფუნქციონირებისთვის პირობების შექმნის დასაბუთება.

4. ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის დახასიათება

4.1. პროგრამის აქტუალურობა და მიზანი

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის თანამედროვე ეტაპზე რადიკალური ცვლილებები მიმდინარეობს საფინანსო-საბანკო, საბაჟო-საგადასახადო და სადაზღვევო საქმიანობის სფეროში. ყალიბდება თვისობრივად სრულიად განსხვავებული საფინანსო-საბანკო, საბაჟო-საგადასახადო და სადაზღვევო სისტემები, ფართოვდება მათი ოპერაციების არეალი, მყარდება კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სისტემებთან და ა.შ.

დოქტორი ფინანსებსა და საბანკო საქმეში ღრმად უნდა დაეუფლოს ფინანსებისა და ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების თეორიულ საფუძვლებს, მათი პრაქტიკული გამოყენების წესებსა და ხერხებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, დოქტორების ფინანსები და საბანკო საქმის მომზადებას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში დიდი ყურადღება ექცევა, მათზე მოთხოვნა კი, შრომის ბაზარზე საკმაოდ მაღალია.

ფინანსები და საბანკო საქმის სადოქტორო პროგრამის ძირითადი მიზანია ***პირველი,*** ფინანსური მეცნიერების კუთხით მეცნიერული კვლევის მეთოდების საფუძვლიანი სწავლება; ***მეორე,*** მეცნიერული ცოდნის განუწყვეტელი გაღრმავების თვისებების ჩამოყალიბება; ***მესამე,*** სამეცნიერო პრობლემების დასმისა და მისი კვლევის ორგანიზაციის უნარის განვითარება.

„ფინანსების, საბანკო და სადაზღვევო საქმის“ კათედრას აქვს გამოცდილება კვლევის ახალი მეთოდების შემუშავებასა და პრაქტიკაში მის დანერგვაში. კათედრის წევრები აქტიურად ახორციელებენ თანამედროვე კვლევებს. მომზადებული და დაცულია რამდენიმე დისერტაცია ფინანსები, საბანკო, საგადასახადო და სადაზღვევო საქმის მიმართულებით.

პროგრამის მიზანია დოქტორანტებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის, ინვესტიციების ორგანიზაცია–დაფინანსების, ფინანსური მენეჯმენტის, საგადასახადო და საბაჟო სისტემის, ფინანსებისა და კრედიტის, საბანკო საქმის, დაზღვევის საფუძვლების, საფინანსო სამართლის, საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობების ღრმა ანალიზი და სწორი შეფასების უნარის გამომუშავება, ეკონომიკური მოვლენების დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე ობიექტური კონცეფციის ჩამოყალიბება, აგრეთვე, აღნიშნული მიმართულებით სწავლების თანამედროვე მეთოდების დაუფლება. ეს მიზნები თსუ ფინანსების, საბანკო და სადაზღვევო საქმის კათედრაზე განხორციელდება მეცნიერული კვლევების ორგანიზებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

„ფინანსები და საბანკო საქმე“ დისციპლინათაშორისი სფეროა, რომელიც თავის თეორიას და მეთოდოლოგიას აშენებს ისეთ მეცნიერულ დისციპლინებზე, როგორიცაა ეკონომიკა, სტატისტიკა, საბუღალტრო აღრიცხვა, მათემატიკა და სხვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე“ კათედრაზე ინტენსიურად განიხილება ძირითადი მნიშვნელოვანი სავარაუდო საკვლევი პრობლემები, რომელთა ფარგლებშიც დოქტორანტებს შეეძლებათ სადოქტორო თემის შერჩევა.

4.2. პროგრამის შედეგი

ა) დარგობრივი კვალიფიკაცია

„ფინანსები და საბანკო საქმის“ სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება კვალიფიკაცია – დოქტორი „ფინანსები და საბანკო საქმე“–ში. „ფინანსები და საბანკო საქმის“ მაგისტრისაგან განსხვავებით, დოქტორები ფინანსებსა და საბანკო საქმეში მომავალი ლიდერები და უმაღლესი კლასის პროფესიონალი მენეჯერები არიან, რომელთაც შესწევთ უნარი შემოქმედებითად შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი იდეები და გაავრცელონ ისინი პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

ბ) ცოდნა - დოქტორს ფინანსები და საბანკო საქმეში მოეთხოვება ფართო ფუნდამენტური, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. დოქტორმა ფინანსებსა და საბანკო საქმეში უნდა იცოდეს:

- მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები და ხერხები;
- სწავლების თანამედროვე მეთოდები;
- საერთო ეკონომიკური ციკლის დისციპლინები: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, ეკონომეტრიკა, ეკონომიკური სტატისტიკა, ბუღალტრული აღრიცხვა, რომელთა ცოდნა საშუალებას აძლევს მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, განსაზღვროს სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მოახდინოს პროგნოზირება;
- ფინანსების თანამედროვე თეორიები და მოდელები და მათი პრაქტიკული რეალიზაციის ხერხები;
- ფინანსების გამოყენების თავისებურებანი სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

გ) დოქტორის ფინანსებსა და საბანკო საქმეში კომპეტენცია და უნარ-ჩვევები – დოქტორის ფინანსები და საბანკო საქმეში კვალიფიკაცია განისაზღვრება მისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით. უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის ზოგადი კომპეტენცია მოცემულია დოკუმენტში, რომელიც შემუშავებულია ბერგენის კონფერენციაზე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის (www.bolgna-bergen2005.no).

დარგობრივი კომპეტენციის მიხედვით, „ფინანსები და საბანკო საქმის“ სადოქტორო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს:

- თავის საქმიანობაში გამოიყენოს კვლევის თანამედროვე მეთოდები და ხერხები;
- მეცნიერულ კვლევებში ფართოდ გამოიყენოს ეკონომიკური თეორიის, სტატისტიკის, ეკონომიკურ–მათემატიკური მეთოდები და მოდელები;
- მეცნიერული კვლევის ჩატარება საფინანსო–საბანკო, საბაჟო–საგადასახადო, სადაზღვევო ბიზნესისა და სამართლის სფეროში;
- საწარმო–ორგანიზაციების, დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, განსახორციელებელ ღონისძიებათა შემუშავება და კონტროლი მათ შესრულებაზე;
- საბანკო ოპერაციების განხორციელება; საბანკო საქმიანობისა და ბანკის პერსონალის მართვის რაციონალური და ეფექტიანი სისტემის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებს ბაზრის კონიუნქტურას;
- გადასახადების ტარიფების გაანგარიშება და მათი ამოღების უზრუნველყოფა. საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულება;
- სადაზღვევო საქმიანობის რაციონალურად და ეფექტიანად წარმართვა;
- ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით;
- საფინანსო–საბანკო, საბაჟო–საგადასახადო და სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ეკონომიკურ–სამართლებრივი საკითხები დამოუკიდებლად გადაწყვეტა, აგრეთვე მუშა–მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება;
- მეცნიერული კვლევის ჩატარება საფინანსო–საბანკო, საბაჟო–საგადასახადო, სადაზღვევო ბიზნესისა და სამართლის სფეროში;
- ასწავლოს ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმე სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

4.3 კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები

დოქტორის ფინანსებსა და საბანკო საქმეში დასაქმების სფეროა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული და სახელმწიფო სტრუქტურები. დოქტორებს ფინანსებსა და საბანკო საქმეში შეუძლიათ იმუშაონ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში თანამდებობებზე, რომელთა დაკავება მათთვის განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფციით, ასევე მათ შეუძლიათ იმუშაონ სადაზღვევო და საშუამავლო ორგანიზაციებში კონსულტანტებად, ექსპერტებად და ფირმის მენეჯერებად.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

„ფინანსები და საბანკო საქმე" სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს საერთო საუნივერსიტეტო კრიტერიუმებს, აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს (თსუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 28 მაისის დადგენილება №23). პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვთ როგორც მიმდინარე, ისე გასული წლების მაგისტრატურისა და მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების კურსდამთავრებულებს. სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველი უნდა ფლობდეს კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევებს, ასევე აუცილებელია უცხო ენის (ინგლისურის, გერმანულის ან ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე. მისაღები გამოცდები ჩატარდება უცხო ენასა და სპეციალობაში (ფინანსები და საბანკო საქმე) წერითი ფორმით. ფინანსები და საბანკო საქმე გამოცდაზე შეფასების ჯამური ნიშანია 100 ქულა. თუ კონკურსანტი დააგროვებს ქულათა საერთო რაოდენობის 90-ზე მეტს, იგი შეფასდება ნიშნით „ფრიადი", 76-დან 90-ის ჩათვლით – „კარგი", 51-დან 75-ის ჩათვლით – „დამაკმაყოფილებელი", 51-ზე ნაკლები არადამაკმაყოფილებელია.

6. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმის კათედრაზე, აგრეთვე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების ბაზაზე.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, სადაც დაგეგმილია კვლევა, არსებობს კომპიუტერული კლასები და ინტერნეტი. ასევე, ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმის კათედრას გააჩნია კომპიუტერული კლასი, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერით **(პენტიუმ IV),** ინტერნეტში მუშაობის შესაძლებლობით, უახლესი ლიტერატურით. პროგრამაში მონაწილე ყველა ლექტორს აქვს შესაბამისი უახლესი ლიტერატურა. დოქტორანტი უზრუნველყოფილი იქნება სწავლისა და კვლევებისათვის აუცილებელი პირობებით.

7. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმის კათედრაზე, აგრეთვე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების ბაზაზე.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, სადაც დაგეგმილია კვლევა, არსებობს კომპიუტერული კლასები და ინტერნეტი. ასევე, ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმის კათედრას გააჩნია კომპიუტერული კლასი, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერით **(პენტიუმ IV),** ინტერნეტში მუშაობის შესაძლებლობით, უახლესი ლიტერატურით. პროგრამაში მონაწილე ყველა ლექტორს აქვს შესაბამისი უახლესი ლიტერატურა. დოქტორანტი უზრუნველყოფილი იქნება სწავლისა და კვლევებისათვის აუცილებელი პირობებით.

8. დოქტორანტების მისაღები რაოდენობა

ფინანსები და საბანკო საქმის კათედრას, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შეუძლია მიიღოს X დოქტორანტი.

9. პროგრამის ხელმძღვანელის CV

ირაკლი კოვზანაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის "ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმის" კათედრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

– საკონტაქტო ინფორმაცია (ბინის ტელეფონი: 29-22-15; სამსახური: 30-40-66, kovzanadzei@caucasus.net)

– ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსები:

ა) კომერციული ბანკების ფუნქციონირების საფუძვლები;

ბ) ცენტრალური და კომერციული ბანკები;

გ) კომერციული ბანკების ფუნქციონირების მექანიზმები;

დ) საბანკო საქმე.

– სამეცნიერო კვლევის სფეროები:

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის ირაკლი კოვზანაძის სამეცნიერო კვლევის სფეროები განსაზღვრულია ფინანსები, საბანკო და სადაზღვევო საქმის მიმართულების პროგრამის, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ქვეყნის წინაშე მდგარი აქტუალური პრობლემების დამუშავების საფუძველზე, რომლებიც ძირითადად ოთხი მიმართულებით წარიმართება. აღნიშნულიდან გამომდინარე **სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:**

ა) ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის გზების ძიება;

ბ) ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების ღონისძიებების განსაზღვრა;

გ) ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გზების ძიება სიღარიბის დაძლევის და უმუშევრობის შემცირებისათვის;

დ) სადაზღვევო სისტემის ეფექტიანად წარმართვის მიმართულებების ფორმირება და მისი ნორმალური ფუნქციონირებისთვის პირობების შექმნის დასაბუთება.

– ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია:

1. "კომერციული ბანკების ლიკვიდობის რეგულირება", "სოციალური ეკონომიკა", თბილისი, 2000, №1, გვ., 94-106.
2. "საბანკო საქმიანობის ორგანიზაციისა და სტრუქტურული ცვლილებების თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე", "მაკრო-მიკრო ეკონომიკა", თბილისი, 2000, №3, გვ., 22-25.
3. „О системе финансовых коэффициентов комплексной оценки деятельности коммерческих банков“, „GEORGIAN ENGINEERING NEWS“, Тбилиси, 2000, №3, стр., 173-179.
4. "კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის სრულყოფის პრობლემები საქართველოში", "ბანკი", თბილისი, 2000, №4, გვ., 20-26.
5. "ეკონომიკის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის", "მაკრო-მიკრო ეკონომიკა", თბილისი, 2000, №4, გვ., 18-21.
6. "კომერციული ბანკების როლი საბანკო სისტემის განმტკიცებაში", "მაკრო-მიკრო ეკონომიკა", თბილისი, 2000, №№7-8, გვ., 51-52.
7. "კომერციული ბანკების ლიკვიდობის ცნების განსაზღვრისათვის", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული "ეკონომიკის აქტუალური საკითხები", თბილისი, 2000, XII გამოშვება, გვ., 93-102.
8. "კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვის მეთოდების სრულყოფა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული "ეკონომიკის აქტუალური საკითხები", თბილისი, 2000, XII გამოშვება, გვ., 102-111.
9. "საინვესტიციო პორტფელის მართვის სრულყოფის გზები", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული "ეკონომიკის აქტუალური საკითხები", თბილისი, 2000, XIII გამოშვება, გვ., 83-95.
10. "კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორების დახასიათება", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული "ეკონომიკის აქტუალური საკითხები", თბილისი, 2000, XIII გამოშვება, გვ., 96-108.
11. „Контроль за деятельностью коммерческих банков“, „Финансы“, Москва, 2000, №10, стр., 70-71.
12. „Современные подходы к проблеме развития и обеспечения устойчивости банковской системы“, „Бухгалтерия и Банки“, Москва, 2000, №12, стр., 4-8.
13. „Развитие конкурентной среды банковского рынка“, „Аудитор“, Москва, 2000, №12, стр., 30-32.

14. "კომერციული ბანკების ფუნქციონირების სრულყოფის საკითხები", "სოციალური ეკონომიკა", თბილისი, 2001, №1, გვ., 101-109.

15. „Liquidity as a Criterion of Bank Management“, BULLETIN OF THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES, Tbilisi, 2001, 164, ¹2. p., 407-409.

16. "ლიკვიდობის ცნების განსაზღვრისათვის", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკის სერია, თბილისი, 2001, ტომი 9, №3, გვ., 109-122.

17. "საბანკო სისტემის მდგრადობის შესახებ", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკის სერია, თბილისი, 2001, ტომი 9, №4. გვ. 195-204.

18. "ეკონომიკის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების პრობლემა საქართველოში", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული "ეკონომიკის აქტუალური საკითხები", თბილისი, 2001, XV გამოშვება, გვ., 80-91.

19. "კომერციული ბანკების საიმედოობა და მდგრადობა", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული "ეკონომიკის აქტუალური საკითხები", თბილისი, 2001, XVI გამოშვება, გვ., 50-56.

20. „Вопросы создания эффективной системы управления банковскими рисками“, „Деньги и Кредит“, Москва, 2001, №3, стр., 49-53.

21. „Некоторые вопросы развития конкурентной среды банковского рынка“, „Банковское Дело“, Москва, 2001, №4, стр., 41-43.

22. „О методах управления проблемными банками“, „Финансы и Кредит“, Москва, 2001, №16 (88), стр., 78-80.

23. „Регулирование ликвидности кредитных организации центральным банком“, „Бухгалтерия и Банки“, Москва, 2001, №11, стр., 28-31.

24. „Операции факторинга: их виды, регулирование, учет и анализ доходности“, „Деньги и Кредит“, Москва, 2001, №11, стр., 52-55.

25. „Достаточность капитала – ключевой элемент устойчивости коммерческого банка“, „Банковское Дело“, Москва, 2001, №12, стр., 5-8.

26. „Системные банковские кризисы в условиях финансовой глобализации“, „Вопросы Экономики“, Москва, 2002, №8, стр.89-95,

27. "საბანკო ანაბრების დაზღვევის სისტემის როლი ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფაში", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკის სერია, თბ., 2002, ტ. 10, №3-4., გვ. 163-173

28. "საკრედიტო კოოპერაცია საბანკო სისტემაში: საერთაშორისო გამოცდილება", "ბანკი", თბ., 2002, №3-4, გვ. 44-51

29. „Некоторые проблемы перехода банков на международные стандарты финансовой отчетности“, „Экономист“, Москва, 2002, №10, стр., 43-46.

30. „Денежно-кредитная политика в условиях системных банковских кризисов: национальные и международные аспекты“, „Деньги и Кредит“, Москва, 2003, №2, стр.,45-47

31. „Реструктуризация банковских систем: стратегия и тактика преодоления системных кризысов“, „Финансы“, Москва, 2003, №3 , стр.,72-74.

32. „Финансовая сфера: пути выхода из кризыса“, „Экономист“, Москва, 2003, №6, стр., 33-36,

33. „Особенности развития банковских систем бывших социалистических стран“, „Вопросы экономики“, Москва, 2004, №5, стр.135-141,

34. „Валютно-финансовый механизм стран с развивающейся рыночной экономикой в условиях глобализации“, „Финансы и Кредит“, Москва, 2004, №23, стр. 40-47

– მონოგრაფიები

1) "საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე" ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001.

2) „Системные банковские кризисы в условиях финансовой глобализации“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003.

3) „Тенденции и перспективы развития экономики и банковского сектора трансформационных стран“, изд., „Финансы и Статистика“, Москва, 2005.

– დამატებითი ინფორმაცია:

1. საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საბჭოს წევრი 2005 წლიდან დღემდე;

2. სეს (სწავლულ ექსპერტთა საბჭო)-ის ეკონომიკური სექციის წევრი 2006 წლის ბოლომდე;

3. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და ეკონომიკური თანამშრომლების და განვითარების ორგანიზაციის (OECD)-ის ერთობლივი ევრაზიის ქვეყნებში საბანკო კორპორაციული მართვის საკითხების კომისიის თავმჯდომარე 2007 წლიდან.